

## 12 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა

# საბჭოთა სპორტსმენებო, წარმატებებს გისურვებთ XX საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებში!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 157 (4667)

1972 წ. 12 აგვისტო, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


[illegible]

# მთავარი სტარტების წინ

## სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმი

ორი კვირის შემდეგ მიუნჰენში XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები გაიხსნება. 1973 წელს მოსკოვში უნივერსიადა ჩატარდება. სწორედ ამ ორი ასპარეზობისთვის მზადებას მიეძღვნა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელიც 10 აგვისტოს ჩატარდა.

— მიუნჰენის სტადიონებზე ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე იქნება, — აღნიშნა მომხსენებელმა, ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სმირნოვმა. მან დაწვრილებით ილაპარაკა სეზონის ამ მთავარი სტარტებისთვის საბჭოთა სპორტსმენთა მზადებაზე, რომელიც XIX ოლიმპიადის დამთავრებისთანავე გაიშალა. სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში (საბჭოთა სპორტსმენები ყველა სახეობაში იასპარეზებენ, გარდა ბალახის ჰოკეისა) შედიან სახელგანთქმული სპორტსმენები, ნიჭიერი ახალგაზრდები. ესენი არიან ევროპის რეკორდსმენი სპრინტში ვ. ბორზოვი, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში ნ. ანდრიანოვი, მსოფლიო რეკორდსმენები ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში ფ. მელნიკი და ნ. ჩიჟოვა, სამყაროს უძლიერესი კაცი, ძალოსანი ვ. ალექსეევი, 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი აფროსნობაში ვ. მანკინი, 1968 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი ცხენის გაწვრთნაში ი. კიზიმოვი, მსოფლიო ჩემპიონი თანამედროვე ხუთჭიდში ბ. ონიშჩენკო, სსრ კავშირის ჩემპიონი ბაიდარით ნიჩბოსნობაში ი. რიაბჩინსკაია, მსოფლიო პირველობებისა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი, მოჭიდავე ა. მედვედი და სხვები — სულ ხუთას კაცზე მეტი.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომლითაც მოიწონა საბჭოთა ფედერაციების მიერ XX ოლიმპიადისთვის წარდგენილი გუნდების შემადგენლობანი.

— საზაფხულო უნივერსიადა მოსკოვში პირველად ჩატარდება, — თქვა მეორე საკითხზე გამოსულმა ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ რ. რიაშენცევმა. — მასშტაბით სტუდენტთა ეს შეჯიბრება მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებს ჩამოუვარდება. საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში 70-80 ქვეყნის 3500-მდე სპორტსმენი ჩამოვა. სტუდენტური სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისუ) აღმასკომის წევრებმა, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინ იყვნენ მოსკოვში, დაამტკიცეს უნივერსიადის პროგრამა და ვადები. 1973 წელს 15 აგვისტოს 18 საათზე ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ასპარეზობა საზეიმოდ გაიხსნება. იმავე დღეს დაიწყება შეჯიბრებები პროგრამის უმეტეს სახეობებში. მოსკოვის საუკეთესო სპორტული ბაზები შეჯიბრების მონაწილეებს დაეთმობათ.

გათვალისწინებულია ფართო კულტურული პროგრამაც, სტუმრების შეხვედრები მოსკოვის სტუდენტებთან და მუშა ახალგაზრდობასთან.

25 აგვისტოს 17 საათზე ლუჟნიკის სპორტის სასახლეში უნივერსიადის დახურვის ცერემონიალი მოეწყობა.

კამათში მონაწილეობდნენ გ. ბაკლანოვი (სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაცია), ბ. როგატინი (საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი), ნ. გრაევსკაია (სსრ კავშირის სპორტული მედიცინის ფედერაცია), ს. ივანოვი („ბურევესტნიკი“), ნ. კისელიოვი („სოვეტსკი სპორტი“) და სხვ.



ალმაფრენა (ნინა დრონოვა თავისუფალი ვარჯიშის დროს).

ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.

# ვადამდე!

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტმა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს კარგი საჩუქარი უძღვნა: ვადამდე შეასრულა თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების 1972 წლის გეგმა-ვალდებულება.

8 აგვისტოსთვის შესრულებულია სპორტის ოსტატების მომზადების გეგმა — 100 პროცენტით (გეგმა — 10, შესრულება — 10), სპორტის ოსტატობის კანდიდატებისა — 135 პროცენტით (გეგმა — 12, შესრულება — 16), პირველთანრიგოსნებისა — 101 პროცენტით (გეგმა — 50, შესრულება — 53).

ასევე გადაჭარბებით შესრულდა სხვა თანრიგების სპორტსმენთა და საზოგადოებრივი მსაჯების მომზადების გეგმები.

**ვ. სამსონაძე,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი.

# სისწრაფის რეკორდები წყალზე

ნოვომოსკოვსკოეში გაიმართა რსფსრ-ს ღია ჩემპიონატი წყალსამოტორო სპორტში. ასპარეზობისას დაწყარდა 9 საკავშირო რეკორდი, რომელთაგან 4 მსოფლიო მიღწევაზე უკეთესია.

„სა“ კლასის ძრავიანი ნავით 5 მილზე რბოლაში თავი გამოიჩინა ლიპეცკელმა მოსწავლემ, 17 წლის ა. ნესტერკინმა, რომელმაც საათში 46,73 კმ სისწრაფე განავითარა და 720 მეტრით გააუმჯობესა მოსკოველი ა. ჟიროვის ძველი საკავშირო რეკორდი. ჟიროვის მსოფლიო რეკორდი დაამხო მისმა უფროსმა ძმამ, მოსკოველმა ინჟინერმა ს. ჟიროვმა, რომელმაც კილომეტრიან დისტანციაზე საათში 52,5 სისწრაფე აჩვენა.

თავი ისახელეს სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონებმა და რეკორდსმენებმა, ძმებმა ი. და პ. ბოგდანოვებმა. „ოვ“ სკუტერებით რბოლაში ი. ბოგდანოვმა კილომეტრიან მონაკვეთზე საათში 131,38 კილომეტრის სისწრაფით გაიქროლა, რაც მისსავე ძველ მიღწევას 3 კილომეტრით აღემატება. პ. ბოგდანოვმა „ოა“ სკუტერით 6 კილომეტრზე მეტი მიუმატა ლიტველი ა. შლაპიკასის ძველ საკავშირო რეკორდს. მისი შედეგია 129,49 კმ საათში.

ლენინგრადელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ისაკოვმა „ს-2“ კლასის კატარღებით რბოლაში საათში 118,63 კმ სისწრაფის განვითარება შეძლო. ეს 11 კილომეტრით აღემატება მისსავე ძველ მსოფლიო რეკორდს.

სსრ კავშირის რეკორდი გააუმჯობესა ტარტუელმა ა. რაუდვამ, რომელიც „სც“ ძრავიანი ნავით გამოდიოდა — 72,30 კმ.

ულიანოვსკელმა ე. სტეპანოვმა „ოი“ კლასის სკუტერით, რომელსაც ულიანოვსკის ქარხნის დამზადებული ძრავა ჰქონდა, 5 მილზე საათში 82,48 კმ აჩვენა. ეს შედეგი ძველ მსოფლიო რეკორდზე 9 კილომეტრით უმჯობესია.

ვორონეჟელი ვეტერანი ვ. სლინკოვი ამ შეჯიბრებაში ორგზის რეკორდსმენი გახდა: ჯერ 10 მილზე 86,06 კმ აჩვენა, რაც საკავშირო მიღწევაა, ხოლო შემდეგ 1-კილომეტრიან მონაკვეთზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 112,38 კმ საათში.

## 12 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა



აი, ასე უტევს მეტოქეს მსოფლიოს ოთხგზისა და მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი რ. რურუა.
გ. კიკვაძის ფოტო (საკდესი).



თამაშობს ა. მეტრეველი.
მ. თათარიშვილის ფოტო.



თ. ლეკვეიშვილი ამ დღეებში საკავშირო რეკორდის დამყარების შემდეგ.
ო. გელაშვილის ფოტო.



მიზნისკენ!
საკდესის ფოტოქრონიკა.

# დიდი ამოცანები

**გ. სიხარულიძე,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ყოველწლიურად ფიზკულტურელის საკავშირო დღეს ერთგვარად ვაჯამებთ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას, მიმოვიხილავთ განვლილ გზას, ვსახავთ მომავლის ამოცანებს. ამ ტრადიციას არც დღეს ვუღალატებთ. მაინც, რით არის აღსანიშნავი წლევანდელი წელი?

დიდი სპორტი, როგორც ვიცით, მასობრიობიდან იღებს სათავეს. ამ მხრივ გარკვეული წარმატებები გვაქვს მოპოვებული. საქართველოში დღეისთვის 1170206 ფიზკულტურელია, რაც მოსახლეობის 24,7 პროცენტს შეადგენს. რესპუბლიკაში ფიზკულტურის 5829 კოლექტივია. გარდა ამისა, გვყავს 116 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 78 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 3400-მდე სპორტის ოსტატი, 1599 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 245 ათასზე მეტი თანრიგოსანი. საქართველოში ცხოვრობს 72 სსრ კავშირის და 294 საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ალბათ საინტერესო იქნება კიდევ რამდენიმე ციფრი: რესპუბლიკაში 97 ფეხბურთის სტადიონია, 2007 ფეხბურთის მინდორი, 5476 ფრენბურთის მოედანი, 3481 კალათბურთის მოედანი, 950 სპორტული დარბაზი, 62 საცურაო აუზი და ა. შ.

სწორედ ამით აიხსნება, რომ შარშან ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის საუკეთესო დონისთვის საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია მეცამეტედ დაჯილდოვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით.

ცხადია, ეს არ გვაკმაყოფილებს. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ღონისძიებანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის, საამისო პირობების შექმნა მოსახლეობის ფართო ფენების ყველა ასაკის ადამიანებისთვის.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა წლეულს 1 მარტიდან „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის შემოღება, რაც ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის საპროგრამო და სანორმატივო საფუძველს წარმოადგენს. ახალ კომპლექსს დიდი მისია აკისრია — იგი მოწოდებულია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ყოველმხრივად განვითარებული და ფიზიკურად სრულყოფილი საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებაში, შრომისუნარიანობისა და შრომისნაყოფიერების ამაღლებაში, კომუნისტური სულისკვეთებით და საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალული მოქალაქეების აღზრდაში. ამ მიზნით ჩამოვაყალიბეთ საქართველოს სპორტკომიტეტთან ახალი კომპლექსის რესპუბლიკური საბჭო.

230233 — ესაა ახალი კომპლექსის ნიშნოსანთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში. აქვე უნდა ითქვას, რომ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. ამას წინათ ჩვენ საზეიმო ვითარებაში გადავეცით ჯილდოები პირველ ნიშნოსნებს.

საქართველოს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს დიდი ზეიმი აქვთ. ამიტომ მოდით, კიდევ ერთხელ დავასახელოთ საუკეთესონი საუკეთესოთა შორის. ქალაქებში, ცხადია, ყველაზე დიდი წარმატებები თბილისს აქვს მოპოვებული. ამას თუნდაც ის გარემოება მოწმობს რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში სპორტსმენთა დაახლოებით 70-80 პროცენტს თბილისელები (ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე) შეადგენენ. გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში საქართველოს 400 სპორტსმენიდან 286 თბილისელი იყო და მათ 616 ქულა მოუტანეს დელეგაციას (801,5 ქულიდან).

ასევე აღსანიშნავი არიან აჭარის (თავმჯდომარე ზ. მამუჭაძე), აფხაზეთის (ჯ. გუბაზი), ქუთაისის (ლ. ახვლედიანი), გორის (გ. მეყანწიშვილი) და სხვა სპორტული ორგანიზაციები, რომლებსაც კარგად აქვთ დაყენებული არა მარტო მასობრივი ფიზკულტურის საქმე, არამედ მუდამ მაღალკვალიფიციურ ოსტატებსაც აძლევენ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს.

რაც შეეხება ჩვენს სპორტულ საზოგადოებებს, აქ განსაკუთრებით გამოირჩევიან „დინამო", რომელმაც V საკავშირო სპარტაკიადაში ხაასპარეზოდ 82 სპორტსმენი გაგზავნა და 280 ქულა მოგვცა, „ბურევესტნიკი" (შესაბამისად 130 და 176) და „განთიადი" (49 და 152).

ქების ღირსნი არიან ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებიც, განსაკუთრებით, უნივერსიტეტი (რექტორი დ. ჩხიკვიშვილი), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ი. ბუაჩიძე) და ფიზკულტურის ინსტიტუტი (ვ. სამსონაძე). ამ უმაღლეს სასწავლებლებში დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას.

მადლობის გრძნობით მინდა აღვნიშნო კარგი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ისეთი მსხვილი საწარმოებისა, როგორიცაა თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა (დირექტორი ი. ხვედელიანი), თბილისის ქარხანა „მაგნიტოფონი" (გ. კაკაბაძე), ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა (ს. დოლიძე). ქების ღირსნი არიან გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ი. კავილაძე), ახალციხის რაიონის აწყურის საბჭოთა მეურნეობის (ი. სარჯველაძე), დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის (პ. მიქაძე), მ. თოიძის სახელობის № 11 პროფსასწავლებლის (ი. ქირაბა), თბილისის 77-ე საშუალო სკოლის (გ. კობახიძე) ფიზკულტურელები. მათ შრომაც კარგი იციან, სწავლაც და სპორტშიც თვალსაჩინო მიღწევები აქვთ. აღსანიშნავია, რომ მათ საკუთარი ძალებითა და სახსრებით ააგეს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები.

ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ფერხულში არიან ჩაბმული მოწინავე სპორტული კლუბები: „კოლხეთი" (ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა), „ფოლადი" (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა), „ისინდი" (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) და სხვ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საცხოვრებელ ადგილებზე შექმნილი ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბების დიდი და სასარგებლო საქმიანობა. მართლაც, თბილისის „დილისა" და „გაზაფხულის", ქუთაისის „რიონისა" და სხვათა შესახებ ალბათ ყველას ბევრი წაუკითხავს და გაუგონია.

სასიხარულოა, რომ მიმდინარე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას. საქართველოს სპორტსმენებმა უკვე მიიღეს ბაკურიანში კიდევ ერთი ტრამპლინი, ქუთაისში სამაბაზანიანი საცურაო აუზი, თბილისში საცხენოსნო ბაზა, ფარიკაობის, კრივისა და ძალოსნობის კომპლექსი, თანამედროვე ტიპის ველოტრეკი, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. სულ მალე მწყობრში ჩადგება შესანიშნავი საჭადრაკო-ალპური კლუბის ახალი შენობა, მძლეოსნური მანეჟი, თბილისის „დინამოს" სტადიონი... გარდა ამისა, დიდი მშენებლობაა გაშლილი რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

ამასთან, სინანულით მინდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ აფასებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობას თანამედროვე ადამიანის, საბჭოთა მშრომელის ცხოვრებაში. აბა, სხვა რით აიხსნება, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარის განკარგულებით ხნავენ ფეხბურთის მინდორს, აუქმებენ სპორტულ დარბაზს და ამით გაკაჟების საშუალებას უსპობენ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს? ავიღოთ თუნდაც ცურვა. რა დასამალია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს აუზი, რაც მასობრივი ცურვის განვითარებისთვის არ კმარა. საკმარისია ითქვას, რომ თბილისის № 4 მექანიკურ ქარხანაში საცურაო აუზს ერთ მშვენიერ დღეს კედლები დააშენეს და... საწყობად აქციეს. ანდა მეორე ფაქტი: ალბათ ყველას კარგად ახსოვთ თბილისში სანაპიროზე მდებარე დიდი საცურაო აუზი, სადაც ახლა რესტორანი „არაგვია" აგებული. აუზი 1965 წელს დაანგრიეს, სანაცვლო ბაზა კი ჯერ არ ჩანს. მართალია, ძველი ბაზის სიახლოვეს დაწყებულია ახალი აუზის მშენებლობა, მაგრამ სასიკეთოს რას უნდა ველოდეთ, როდესაც მშენებლებმა ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ საძირკველი ჩაყარეს?!

ზეიმის დღეს ჩვეულებრივ წარმატებებზე ლაპარაკობენ ხოლმე. ნურც ჩვენ დავარღვევთ ამ ტრადიციას.

საქართველოს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის იმდენი ჩემპიონი ჰყავს, რამდენიც ერთად აღებულ რამდენიმე ქვეყანაში შეიძლება არ იყოს. ვინ არ იცნობს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს ნ. გაფრინდაშვილსა (ჭადრაკი) და რ. რურუას (კლასიკური ჭიდაობა), ანდა ვ. ბალავაძეს და ო. ფხაკაძეს, გ. კარტოზიას და რ. აბაშიძეს, ვინ არ იცნობს ბ. პაიჭაძეს, ნ. დუმბაძეს, ე. გოკიელს, ო. ქორქიას, ნ. ჯორჯიკიას, ნ. ალექსანდრიას, თ. ლეკვეიშვილს, ნ. ასათიანს, კ წაქაძეს, ა. მეტრეველს...

საბჭოთა სპორტის გენერალურ დათვალიერებაში — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს სპორტსმენები მუდამ წარმატებით გამოდიან და მოსკოვიდან, როგორც წესი, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით მკერდდამშვენებული ბრუნდებიან.

ცალკე უნდა ითქვას ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების მიღწევების შესახებ კაცობრიობის უდიდეს სპორტულ შეჯიბრებაში — ოლიმპიურ თამაშებში.

ჩვენი ოლიმპიელები ხუთი რგოლის ქალაქიდან, როგორც წესი, გარდა ვერცხლის და ბრინჯაოს ჯილდოებისა და ჩასათვლელი ქულებისა, ორი ოქროს მედლით მაინც ბრუნდებიან, ამასთან იმდენ ქულას აძლევენ საბჭოთა დელეგაციას, რაც ოლიმპიადაში XIV-XVIII ადგილებზე გასულ ქვეყნებს აქვთ. ნათქვამის საილუსტრაციოდ გეტყვით, რომ, მაგალითად, XIX ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს წარგზავნილებმა დაუსწრეს ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს როგორიცაა ავსტრია, თურქეთი, კანადა, ბელგია, მექსიკა, არგენტინა, ესპანეთი, ირანი და სხვ.

დღეს, მიუნჰენის XX ოლიმპიადის წინ, მინდა გავიხსენო საქართველოს „ოქროს ოლიმპიელთა" სახელები, რომელთა წარმატებები [illegible] სამაგალითოა ჩვენი — ახალგაზრდებისთვის. ესენი არიან მოჭიდავე დ. ციმაკურიძე, ძალოსანი რ. ჩიმიშკიანი და ტანმოვარჯიშე მ. ჯუღელი (ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები), მოჭიდავეები გ. კარტოზია და მ. ცალქალამანიძე (XVI თამაშები, მელბურნი), მძლეოსანი რ. შავლაყაძე და მოჭიდავე ა. ქორიძე (XVII თამაშები, რომი), მოფარიკავე ნ. ასათიანი და ფრენბურთელი ვ. კაჭარავა (XVIII თამაშები, ტოკიო), მოჭიდავე რ. რურუა და მძლეოსანი ვ. სანეევი (XIX ოლიმპიადა, მეხიკო).

მიუნჰენის დიდი ოლიმპიადისთვის დღეს, ასე ვთქვათ, ბოლო ეტაპზე, ჩვენი რესპუბლიკის 20-ზე მეტი სპორტსმენი ემზადება. ცხადია, ყველა მათგანი ვერ გამოვა XX ოლიმპიადის სარბიელზე, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიურ გუნდებში მოხვედრისთვის ყველა დიდი მონდომებით და ენერგიით იბრძვის.

მაინც ვისა აქვს უკეთესი შანსები?

პირველ ყოვლისა მინდა დავასახელო ჩვენი შესანიშნავი კალათბურთელები — თბილისის „დინამოს" წევრები, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. საკანდელიძე და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მ. ქორქია. დამეთანხმებით, რომ ეს ორივე სპორტსმენი სსრ კავშირის ნაკრებში დიდ ძალას წარმოადგენს.

ვფიქრობ, ოლიმპიადის სარბიელზე კვლავ ვიხილავთ ჩვენს უძლიერეს ველომრბოლელს ო. ფხაკაძეს. მართალია, მას ახლა ძლიერი კონკურენტები გამოუჩნდნენ ნაკრებში, მაგრამ ქართველი სპრინტერი ალბათ თავს არ დაზოგავს, რომ გულშემატკივართა იმედები გაამართლოს.

შესაძლოა ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდში იძულებითი ორთვიანი შესვენების შემდეგ კვლავ მოხვდეს თბილისელი ნ. დრონოვა. სამწუხაროდ, როგორც იცით, ჩვენმა ნორჩმა ტანმოვარჯიშემ ხელი დაიშავა და თაბაშირი ედო. მაგრამ დრონოვას ნებისყოფა, მონდომება, ნიჭი გვაფიქრებინებს, რომ იგი კვლავ ჩადგება უძლიერესთა რიგებში.

გარკვეული შანსები აქვთ ოლიმპიურ მიუნჰენში გამგზავრებისა, ნიჩბოსნებს ო. ქაფიანიძეს (აკადემიური), ა. ნასყიდაშვილს (საწყლოსნო სლალომი), ვ. კრატასიუკს.

კარგ სპორტულ ფორმაში არიან სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სანეევი და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი თარჯრბენში ა. მოშიაშვილი.

მოცურავეთა ნაკრებ გუნდში საქართველოს ორი სპორტსმენია. ესენი არიან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ჩემპიონი თ. ლეკვეიშვილი და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი ი. ლისეცკი. პირველს უკვე განაღდებული აქვს ოლიმპიადის საგზური, ხოლო მის პარტნიორს ამისთვის შედარებით ნაკლები შანსი აქვს.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ძალოსანი დ. შანიძე თავის „ამპლუაში" ახლა უძლიერესია საბჭოთა კავშირში და ოლიმპიურ მიუნჰენში ისიც გაემგზავრება.

ყველა გაგვახარა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ქუთაისელი მშვილდოსნის ქ. ლოსაბერიძის ახალმა წარმატებამ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი შეეცდება ასეთივე წარმატებით გამოვიდეს მიუნჰენში.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მრავალი წლის „შესვენების" შემდეგ კვლავ მოხვდა ოლიმპიადის ფინალში. მის რიგებში ორი ქართველი სპორტსმენი გამოდის — მ. ხურცილავა და რ. ძოძუაშვილი.

როგორც ყოველთვის, საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში მოსახვედრად ყველაზე მეტი კანდიდატი მოჭიდავეთაგან არის. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: მსოფლიო ჩემპიონი ლ. თედიაშვილი, ჩვენი უძლიერესი ფალავნები გ. გოგოლაური, გ. ონაშვილი, შ. ჩოჩიშვილი, ჯ. მეგრელიშვილი...

ოლიმპიური მიუნჰენი მზადაა დიდი ასპარეზობისთვის მზად არიან მომავალი ბატალიებისთვის საქართველოს სპორტსმენებიც. ვუსურვოთ მათ ფიზკულტურელის საკავშირო დღეს წარმატებები დიდ სპორტულ სარბიელზე.

**ფიზკულტურის კოლექტივებში**

## არმიაში წრთობის შემდეგ

ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკაში ფიზკულტურის მეთოდისტად საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული პირველთანრიგოსანი სპორტსმენი ელდარ თავბერიძე მოვიდა. მალე სპორტული საქმიანობაც გამოცოცხლდა. ელდარს ამ საქმეში მხარი დაუჭირეს დირექციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. საერთო ძალით მოეწყო მარტივი ტიპის მოედნები. ახლა აქ ხშირად ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, ყოველდღიურად ეწყობა დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიში, ფიზკულტწუთები.

ამჟამად ფაბრიკის ფიზკულტურელთა მთელი ყურადღება ახალი საკავშირო კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას ეთმობა. თანამშრომელთა 45 პროცენტმა ნორმატივები უკვე სპორტის ხუთ სახეობაში ჩააბარა.

საინტერესოდ ჩატარდა ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ზესტაფონი — მაყვლარიანის მთა — სოფელი საკრაულა — მაიაკოვსკი — ზესტაფონი. ლაშქრობაში მონაწილეობდა 25 კაცი, აგრეთვე, ფაბრიკაში აგრეგატების დასამონტაჟებლად მყოფი მოსკოველი სპეციალისტები. მკერავებმა საკრაულაში ფრენბურთსა და კალათბურთშიც იასპარეზეს.

ა. განუგრაგა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

XXXIV ჩემპიონატი

# თამაში... სალათას ძილში

უმაღლესი ლიგა

## ჰაერჯერი, გოლები

9 აგვისტოს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები, რომლებშიც თამაშობდა უმაღლესი ლიგის გუნდების სრული კომპლექტი — ყველა 16 მონაწილე.

„ყაირათი" — „ზენიტი" 0:0.

ალმაათელებმა შესვენების შემდეგ შეძლეს უპირატესობის მოპოვება, მაგრამ თავდასხმამ ვერ გამოიყენა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი. უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ლენინგრადელი გოლუბევი.

„ნეფთჩი" — ცსკა 1:1.

მატჩი ახალი დაწყებული იყო, როცა ბანიშევსკიმ ზუსტი გადაცემა მიიღო და ახლოდან გაგზავნა ბურთი არმიელთა კარში. მოსკოველებმა მხოლოდ 64-ე წუთზე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. დოლგოვმა კარგად გამოიყენა „ნეფთჩის" საჯარიმო მოედანზე შექმნილი არეულობა.

„ზარია" — „ლოკომოტივი" 1:1.

ლიდერმა ქულა დაკარგა აუტსაიდერთან შეხვედრაში, თანაც პირველი ბურთი სწორედ მის კარში გავიდა 71-ე წუთზე კოზლოვის დარტყმის შემდეგ. შეხვედრის დასასრულს 10 წუთი აკლდა, როცა ვოროშილოვგრადელთა ერთ-ერთი იერიში საპასუხო გოლით დაამთავრა ონიშჩენკომ.

ასკ — „დინამო" (მოსკოვი) 0:3.

მოსკოველები მეტოქეზე გაცილებით უფრო სწრაფად და ტექნიკურად თამაშობდნენ. ისინი დაწინაურდნენ ჯერ კიდევ შესვენებამდე (მახოვიკოვი, იაკუბიკი), ხოლო შემდეგ ჟუკოვის ზუსტმა დარტყმამ დიდი ანგარიშით გამარჯვება მოუტანა მის გუნდს.

„სპარტაკი" — „კარპატი" 1:3.

სულ ახლახან თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში ლვოველებმა საკუთარ მინდორზე უიღბლოდ წააგეს „სპარტაკთან", მაგრამ ამჯერად საუცხოოდ ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს, თუმცა პირველი ბურთი სწორედ მათს კარში აღმოჩნდა მე-19 წუთზე (მინაევი). 42-ე და 69-ე წუთებზე ხიჟაკმა ორჯერ აიღო მოსკოველთა კარი, რასაც შემდეგ ლიხაჩოვის მესამე გოლიც მოჰყვა.

„არარატი" — „დინამო" (მინსკი) 2:1.

ერევნელებმა დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს უკიდურესად საჭირო 2 ქულის აღება. მათი მხრივ ბურთები გაიტანეს ზანაზანიანმა (პენალტი) და კაზარიანმა, ხოლო საპასუხო — გრიგორიევმა.

„დნეპრი" — „დინამო" (კიევი) 2:2.

კიეველები პირველივე წუთებიდან ფლობდნენ ინიციატივას, შესვენების შემდეგ კი „დნეპრმა" შეძლო საფუძვლიანი გარდატეხის შეტანა თამაშში. კიეველების ბუზაჩისა და კოლოტოვის ორ გოლს მასპინძლებმა პორკუიანის ორი ბურთით უპასუხეს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 19 | 11 | 5 | 3 | 32—15 | 27 |
| ცსკა | 19 | 10 | 3 | 6 | 22—20 | 23 |
| „არარატი" | 19 | 8 | 6 | 5 | 28—17 | 22 |
| „დინ." (თბ.) | 19 | 8 | 6 | 5 | 21—19 | 22 |
| „დინ." (კ.) | 19 | 7 | 7 | 5 | 30—24 | 21 |
| „დინ." (მ.) | 19 | 9 | 3 | 7 | 26—20 | 21 |
| „დინ." (მნ.) | 19 | 7 | 7 | 5 | 20—17 | 21 |
| „დნეპრი" | 19 | 6 | 9 | 4 | 24—22 | 21 |
| „ზენიტი" | 19 | 5 | 8 | 6 | 21—21 | 18 |
| „ტორპედო" | 19 | 6 | 6 | 7 | 17—26 | 18 |
| „კარპატი" | 19 | 6 | 5 | 8 | 17—22 | 17 |
| „სპარტაკი" | 18 | 6 | 4 | 8 | 22—21 | 16 |
| ასკ | 19 | 5 | 6 | 8 | 19—24 | 16 |
| „ყაირათი" | 19 | 2 | 11 | 6 | 10—17 | 15 |
| „ლოკომოტ." | 19 | 3 | 6 | 10 | 17—26 | 12 |
| „ნეფთჩი" | 18 | 4 | 4 | 10 | 16—31 | 12 |

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 9 აგვისტო.

„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:2 (0:1).

„დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მჭედლიშვილი, პეტრიაშვილი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი (ლ. ნოდია).

„ტორპედო": რაკიტსკი, კრასნოვი, პახომოვი, ბუტურლაკინი, იურინი, შუსტიკოვი, ფეტისოვი, ნიკონოვი, შალიმოვი, დეგტიარიოვი (ფილიპოვი), სმირნოვი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები — 6:0 „დინამოს" სასარგებლოდ.

დახედეთ ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს და მაშინვე შეამჩნევთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ახლა თითოეულ ქულას რომელიც გნებავთ მონაწილისთვის. თუ 4 ქულით დაწინაურებულ „ზარიას" არ მივიღებთ მხედველობაში, 7 გუნდი თითქმის თანაბარ მდგომარეობაშია და წაგებას ან მოგებას შეუძლია გამოიწვიოს მათი გადაადგილება ცხრილში დაახლოებით ამდენივე ადგილით.

ესაა ამჟამად თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა უმთავრესი საზრუნავი — ადგილის შენარჩუნება წამყვან ჯგუფში. რახან საქმე ისე წავიდა, რომ დიდი დანაკარგის შემდეგ ჩვენს გუნდს ბევრი მეტოქე გამოუჩნდა საერთო შესაძლებლობებით და კონკურენცია ასე გამწვავდა, საჭიროა მთელის ძალით ბრძოლა, რათა არ დავკარგოთ ის, რაც ახლა ვაგვაჩნია, სანამ მწყობრს დაუბრუნდებიან ტრავმირებული წამყვანი მოთამაშეები და, საერთოდ, კოლექტივი კვლავ დაიბრუნებს საბრძოლო კონდიციებს.

წინა მატჩში „არარატთან" თბილისელებმა სწორედ ისე ითამაშეს, როგორც მათგან მოველოდით: ტემპიანად, სწრაფად, შეუპოვრად, მაქსიმალური დატვირთვით. ეს საფუძველს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ კრიზისის პერიოდმა განვლო და გუნდმა აღიდგინა უწინდელი ფორმა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ კრიზისი მთლიანად ჯერ არაა დაძლეული და დინამოელებმა კარგად მხოლოდ „არარატთან" ითამაშეს. ტორპედოელებთან ისინი ისევ არასახარბიელოდ თამაშობდნენ. მაყურებელი ისევ უკმაყოფილო დარჩა.

თბილისელებმა განსაკუთრებით ცუდად ჩაატარეს მატჩის დასაწყისი. არავითარი ტემპი, სისწრაფე, თავდამსხმელები უკიდურესად პასიურად, ნელა თამაშობდნენ, ინდივიდუალურ ბრძოლაში სისტემატურად კარგავდნენ ბურთს, რის შედეგადაც „ტორპედოს" მცველებმა მიიღეს ის, რაც სურდათ — მოქმედების თავისუფლება. ბუტურლაკინმა მთლიანად ჩაკეტა გუცაევი და იგი იზოლირებული აღმოჩნდა საერთო შეტევისგან. ასევე ვერ მოძებნეს კონტაქტი პარტნიორებთან გ. ნოდიამ და ყიფიანმა. დინამოელთა შეტევა არავითარ პრობლემას ან ხიფათს არ წარმოადგენდა მოსკოველთა დაცვისთვის, ვინაიდან შეტევა ფაქტიურად არც იყო. უიმედოდ წასული საქმე იხსნა ლევან ნოდიამ, რომელიც დაშავებული ყიფიანის ნაცვლად გამოვიდა მინდორზე. იგი ბურთის პირველივე მიღებიდან სრული ძალით, აქტიურად ჩაება თამაშში და თამამად ჩაუდგა სათავეში დინამოელთა შეტევას. კარგა ხანია არ გვინახავს ლ. ნოდიას ასეთი ენერგიული, მონდომებული და ეფექტური თამაში, სწრაფი და მახვილგონივრული გარღვევები. უდავოდ, მან, როგორც თავდასხმის ლიდერმა, დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ ჩვენმა გუნდმა ამ დღეს ქულა იხსნა.

კვლავ დაშლილი, არაორგანიზებული რგოლი იყო დინამოელთა ნახევარდაცვა. რა თქმა უნდა, თავისთავად ეთქმის მადლობა პეტრიაშვილს, რომელმაც ორი გოლი გაიტანა, მაგრამ გავაშელი და მჭედლიშვილი ვერ იყვნენ ისე მობილიზებული, ვერ თამაშობდნენ როგორც საჭიროა.

პირველი 10 წუთის შემდეგ ტორპედოელებს ზედიზედ ორჯერ შეექმნათ ბურთის გატანის შესაძლებლობა: ჯერ შალიმოვმა ააცდინა მიზანს, მერე გოგიამ მიუსწრო სმირნოვს და აქ გამოვლინდა სერიოზული ხარვეზები თბილისელთა დაცვაში. ვერაფერი მოუხერხა ფეტისოვს ძოძუაშვილმა და „ტორპედოს" მარცხენა გარემარბი ყველაზე საშიშ ძალად იქცა დინამოელთათვის. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ ძოძუაშვილი უყურადღებოდ, ზერელედ ეთამაშებოდა ფეტისოვს და სისტემატურად აგებდა მასთან ორთაბრძოლას. იგი ტაქტიკურადაც უსწოროდ მოქმედებდა და, როცა ამას დაემატა ჰელიძის შეცდომები, მე-14 წუთზე ღიად დარჩენილმა ფეტისოვმა მარჯვნიდან მოწოდებული ბურთი ახლოდან გაგზავნა ბადეში — 1:0.

ამ გოლს ოდნავადაც არ გამოუფხიზლებია სალათას ძილში წასული თბილისელები. ისინი კვლავ ნელა მოქმედებდნენ, ძალიან უზუსტოდ აწვდიდნენ ბურთს ერთმანეთს, ფერხდებოდნენ შუა მინდორში. ამას გარდა, როცა ბურთი ჰქონდა ერთ რომელიმე დინამოელს, სხვები დოინჯშემოყრილი ადგილზე უცდიდნენ, თუ რით დამთავრდებოდა პარტნიორის უთანასწორო ბრძოლა, თავისუფალ ადგილზე არ გადიოდნენ, არ ეხმარებოდნენ მას.

რა თქმა უნდა, მოსკოველებს ასეთ ვითარებაში არ გასჭირვებიათ თამაშის სადავეების ხელში აღება. მათ ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობაც ჰქონდათ, როცა სმირნოვმა საჯარიმო გათამაშებიდან ძელს მოახვედრა ბურთი, ხოლო შემდეგ გოგიამ თავგანწირული ნახტომით იხსნა გუნდი შალიმოვის უძლიერესი დარტყმისგან.

შედარებით უკეთ ითამაშა „დინამომ" მეორე ტაიმში და ამ შემთხვევაშიც გარდატეხის ინიციატორი იყო ლ. ნოდია. მარცხენა ფლანგიდან წარმოებულ ხშირ გარღვევებს ბოლოს, როგორც იქნა, ცენტრშიც მოჰყვა მხარდაჭერა და როცა 79-ე წუთზე კარის პირისპირ გავიდა გ. ნოდია, იგი მცველებმა წააქციეს. პენალტი კარგად გამოიყენა პეტრიაშვილმა — 1:1.

გავიდა ხუთიოდე წუთი, ძმებმა ნოდიებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია ადგილების ცვლით, რის შემდეგაც ბურთი გადაეცა მარჯვნივ, იქ, სადაც კარგად შეარჩია ადგილი პეტრიაშვილმა. ნახევარმცველმა შეუცდომლად დაამთავრა ეს იერიში — 2:1.

მძიმე ბრძოლას თითქოს 2 ქულა უნდა მოეტანა დინამოელთათვის, მაგრამ გამარჯვება მათ მაინც არ ეწერათ. 87-ე წუთზე რამდენიმე მცველმა ელემენტარულ ვითარებაში ვერ შეძლო მათს წინ მარტოდმარტოდ მყოფი შალიმოვის ნეიტრალიზება და მოსკოველის დარტყმამ მიზანს მიაღწია — 2:2.

ახლა საკავშირო ჩემპიონატში საზაფხულო არდადეგების პერიოდი დადგა. 13 აგვისტოს მატჩი მინსკის „დინამოსთან" ჩვენს გუნდს, როგორც ცნობილია, გადადებული აქვს, შემდგომი შეხვედრა კი დანიშნულია 2 სექტემბრისთვის. ეს შესვენება დინამოელებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ, რათა შემოდგომის მატჩებში მომზადების იმ დონეს მიაღწიონ, რომელიც ვაზაფხულზე ჰქონდათ.

რ. ქორიძე.

• • •

ფეხბურთელებმა, მსაჯებმა და მატჩზე მოსულმა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ტრაგიკულად დაღუპული ფ. აბრამიანის („არარატი") ხსოვნას.

## I ლიგა

8 აგვისტოს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) — „შახტიორი" (დონეცკი) 1:0, „ზვეზდა" (პერმი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 2:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ფახტაქორი" (ტაშკენტი) 1:0, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „პამირი" (დუშანბე) 4:2, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ალგა" (ფრუნზე) 1:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 3:2, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 1:1, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „კრივბასი" (კრივოი როგი) 3:0, „დინამო" (ლენინგრადი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახტაქორი" | 23 | 15 | 5 | 3 | 38—16 | 35 |
| „ჩერნომორ." | 23 | 12 | 7 | 4 | 43—21 | 31 |
| „ზვეზდა" | 23 | 11 | 7 | 5 | 28—21 | 29 |
| „შინიკი" | 22 | 11 | 5 | 6 | 24—18 | 27 |
| „შახტ." (დ.) | 22 | 8 | 10 | 4 | 27—13 | 26 |
| „ტორპედო" | 22 | 11 | 4 | 7 | 30—17 | 26 |
| „პამირი" | 23 | 9 | 7 | 7 | 31—32 | 25 |
| „ალგა" | 23 | 7 | 10 | 6 | 25—17 | 24 |
| „მეტალის." | 22 | 7 | 9 | 6 | 24—20 | 23 |
| „სპარტაკი" | 22 | 8 | 7 | 7 | 25—26 | 23 |
| „შახტ." (ყ.) | 23 | 7 | 9 | 7 | 25—26 | 23 |
| „კრ. სოვეტ." | 23 | 4 | 14 | 5 | 20—24 | 22 |
| „ნისტრუ" | 23 | 6 | 7 | 10 | 23—27 | 19 |
| „ავტომობ." | 22 | 5 | 9 | 8 | 16—24 | 19 |
| „სტროიტ." | 23 | 6 | 7 | 10 | 22—35 | 19 |
| „მეტალურ." | 23 | 6 | 6 | 11 | 29—30 | 18 |
| „დინამო" | 22 | 4 | 9 | 9 | 16—26 | 17 |
| „ტექსტილ." | 22 | 5 | 7 | 10 | 20—34 | 17 |
| „კრივბასი" | 23 | 4 | 8 | 11 | 28—44 | 16 |
| „ურალმაში" | 23 | 3 | 7 | 13 | 19—39 | 13 |

საერთაშორისო შეხვედრა

## ორიოდე წუთი აკლდა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 10 აგვისტო.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (ბაკეუ, რუმინეთი) 2:2 (0:0).

„ტორპედო": გრძელიშვილი, მაზიაშვილი (პეტროვი, ქუთათელაძე), რეხვიაშვილი, ფრიდმანი, ჰოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ლენიოვი, მირონოვი (ჰოლაძე), ვეკუა (შელია), ფესტვენიძე, ჯ. სილაგაძე.

„დინამო": ნიზაკი, ვოლმერი, კატარჯიუ, მორგასოიუ, ხრიცკე, ზინეუჩანუ, პამე (რუჯუბეი), მიოკი, პელია (ფლორია), ლუცანუ (დებროვსკი), ბელუცა (ვიტაპუ).

მსაჯი მ. მკრტჩიანი (ერევანი).

ეს რუმინელ ფეხბურთელთა მესამე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი იყო სსრ კავშირში. პირველი ორი მათ წააგეს ერევანში (0:3) და ორჯონიკიძეში (2:4).

შეხვედრის პირველმა ნახევარმა ჩაიარა ერთობ უინტერესოდ, დაბალ ტემპში და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრძელიშვილის მიერ 37-ე წუთზე მოიკისგან აღებულ ძნელ ბურთს, სახიფათო მომენტები თითქმის არც ყოფილა.

დაძაბული, საინტერესო გამოდგა თამაში მხოლოდ შესვენების შემდეგ. იერიშებში გამოცოცხლება შეიტანეს შელიამ, ჰოლაძემ, ფესტვენიძემ, თუმცა პირველ წარმატებას რუმინელებმა მიაღწიეს: 74-ე წუთზე ფლორიამ კარგად გამოიყენა ტორპედოელთა დაცვაში დაშვებული შეცდომა.

ცოტა ხნის შემდეგ ფესტვენიძემ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, ხოლო 81-ე წუთზე სილაგაძის მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ბადეში ჩაეშვა ისე, რომ არავის შეხებია.

ქუთაისელები თითქოს ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ უკვე მაშინ, როცა თამაშის დასასრულს ორიოდე წუთი აკლდა, რუჯუბეის დარტყმამ სტუმრები წაგებას გადაარჩინა.

ზ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## საქართველოს თასზე

გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრები: „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „კახეთი" (თელავი) 4:5, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მესხეთი" (ახალციხე) 6:3, „ეგრისი" (ცხაკაია) — „შუქურა" (ქობულეთი) 4:0, „დინამო" (ზუგდიდი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:1.

15 აგვისტოს შედგება ნახევარფინალური შეხვედრები: „კახეთი" — „მეტალურგი", „დინამო" — „ეგრისი". მატჩები ჩატარდება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

## ოკლაჰომის ცის ქვეშ

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. ოკლაჰომის შტატში (აშშ) ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი საპარაშუტო სპორტში. პირად ჩათვლაში ლიდერობენ: ქალთა შორის — ფრანგი მ. ბალუ, ვაჟებში — ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ვ. პოსპიშილი.

კუიბიშეველი ს. როდიონოვა ჯერჯერობით III ადგილზეა. ვაჟთა შეჯიბრებაში სიზრანელი ა. ოსიპოვი და თბილისელი ნ. უსმაევი II და III ადგილებზე არიან.

შეჯიბრება 20 აგვისტოს დამთავრდება.

## ლიდერები არ შეცვლილან

ორიოლი, 11 აგვისტო. პლანერისტთა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ვარჯიშის (210-კილომეტრიან სამკუთხედზე ფრენა) სტარტი 44 სპორტსმენმა აიღო, მაგრამ იგი მხოლოდ 32 მოასპარეზემ შეასრულა. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ვაჟებიდან ამ ამოცანას კარგად გაართვეს თავი ვ. იურიევმა, ე. რუდენსკიმ და ი. ამოჩკინმა. ქალებში ისევ გამოიჩინა თავი ლ. კლიუევამ. II და III ადგილებზე არიან თ. ზაგაინოვა და მ. აფრიკანოვა. გუნდურ ჩათვლაში პირველია ლატვიის ნაკრები.

ოთხი ვარჯიშის შემდეგ ლიდერები არ შეცვლილან — იური ანოჩკინი და ვიდა ლაანი.

## კიდევ სამი ახალი სახელი

ოტავა, 11 აგვისტო. როგორც ცნობილია, სექტემბერში კანადის ნაკრები მატჩების სერიას გამართავს საბჭოთა ჰოკეისტებთან. გუნდის შემადგენლობაში სამი ახალი წევრი შეიყვანეს. ესენი არიან მეკარე ე. ჯონსტონი („ბოსტონ ბრიუინზი"), მცველი ბ. გლენი („ტორონტო მეიპლ ლიფსი") და უნივერსალი მოთამაშე დ. ტალონი („ვანკუვერ კენაქსი"), რომლის გამოყვანასაც მწვრთნელი ჰ. სინდენი თავდასხმის მარჯვენა ფლანგზე აპირებს. ნაკრების შემადგენლობაში უწინ შეყვანილ ცენტრალურ თავდამსხმელ ს. მიკიტასთან ერთად ისინი შეცვლიან ისეთ ოსტატებს, როგორიც არიან ბ. ჰალი, ჯ. ჩივერსი, ჟ.-კ. ტრამბლე და დ. სენდერსონი. ამ ჰოკეისტებმა ხელშეკრულება დადეს ჰოკეის საერთაშორისო ასოციაციასთან.

ჰოკეის ეროვნული ლიგისა და ორგანიზაცია „ჰოკეი-კანადას" შეთანხმებით, ნაკრებში არ დაუშვებენ მოთამაშეებს, რომლებიც ეროვნულ ლიგას დატოვებენ, თუმცა „მოღალატეები" საგრძნობ ფულად ანაზღაურებას მიიღებენ. საერთაშორისო ასოციაციაში მათ გაცილებით მეტს უხდიან.

## „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი

ბრონო, 10 აგვისტო. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, 22-ე ტირაჟი. აი, იღბლიანი ნომრები: 10 (საბუერო სპორტი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 22 (ციგურები), 38 (მშვილდოსნობა), 42 (ძალოსნობა), 44 (ფიგურული ციგურაობა).



# ნორჩი რეკორდსმენი

თბილისში დამთავრდა საქართველოს პირველი პირველობა ყველაზე ნორჩ მოცურავეთა შორის (1960-61 და 1958-59 წლებში დაბადებული გოგონები, 1959-60 და 1957-58 წლებში დაბადებული ბიჭები). შეჯიბრებაში მონაწილეობდა დაახლოებით 180 ნორჩი მოცურავე — თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის წარმომადგენლები.

დიდ წარმატებას მიაღწია ვაგრელმა სპორტსმენმა, 13 წლის ლიუდმილა სუინამ („განთიადი"). ასპარეზობის სამი დღის მანძილზე იგი 12-ჯერ გამოვიდა სტარტზე და 6-ჯერ პირველობა დაისაკუთრა. ნორჩი მოცურავე ტექნიკურად კარგადაა მომზადებული, ნამდვილი სპორტული ხასიათი აქვს, აზარტულად იბრძვის. მაგალითად, ამ ჩემპიონატში მან საქართველოს სამი აბსოლუტური რეკორდი დაამყარა — 100 (1.04,3), 400 (5.07,9) და 800 მეტრზე (10.49,5) თავისუფალი სტილით ცურვაში. პირველ ორ დისტანციაზე მან სპორტის ოსტატის ნორმატივს გადააჭარბა. გარდა ამისა, სუინამ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა 50 მეტრზე თავისუფალი სტილით (29,0), 200 (2.44,2) და 400 მეტრზე (6.06,6) კომპლექსურ ცურვაში.

ნორჩმა რეკორდსმენმა კარგი მაგალითი მისცა დანარჩენ მონაწილეებს — არ შეუშინდა დიდ დატვირთვას (12 სტარტი სამ დღეში!) დღევანდელ სპორტში სხვაგვარად არც შეიძლება. წარმატება მხოლოდ სიმამაცისა და ვარჯიშის საშუალებით მოდის.

რამდენიმე დღის შემდეგ ლ. სუინა მოზარდთა პირველ საკავშირო ჩემპიონატში აიღებს სტარტს კიევში. მწვრთნელებს პ. კონონოვსა და ლ. ვეჩხაიძეს მიაჩნიათ, რომ მათს მოწაფეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ნორჩ მოცურავეთა სიაში მოხვედრის დიდი შანსი აქვს.

ზ. ჭვათაძე.

• • •

სურათზე: ლ. სუინა.

ავტორის ფოტო.

● კატანია (კუნძული სიცილია), 10 აგვისტო. კალათბურთელ ვაჟთა გუნდების აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც დასკვნით მატჩში ანგარიშით 83:53 (41:22) სძლია ფილადელფიის სენტ-ჯოზეფის კოლეჯის გუნდს. ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა დაუმარცხებლად განვლეს ტურნირი. ჩეხოსლოვაკიისა და იტალიის ნაკრებთა შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიელებმა იმარჯვეს — 65:60 (24:24). წინადღეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა პირდაპირ გაანადგურეს იტალიელები — 111:68 (47:28). განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ა. ბელოვმა და პაულაუსკასმა. ჩეხოსლოვაკიისა და სენტ-ჯოზეფის კოლეჯის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს ამერიკელმა სტუდენტებმა — 80:68 (40:32).

● კიევი, 10 აგვისტო. გუშინ აქ გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი ადგილობრივი „სტროიტელისა" და ცსკა-ს კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით დაიწყეს თამაში: „სტროიტელი" — პოგულიაი, სმოლიაკოვი, ლუშნენკო, ს. კოვალენკო, ზაბროდა; ცსკა — მილოსერდოვი, კოვირკინი, პეტრაკოვი, ე. კოვალენკო, იასტრებოვი. ოლიმპიადისთვის სამზადისის გამო თავისი ძირითადი სპორტსმენების უყოლობის მიუხედავად ცსკა პირველ ტაიმში კარგა ხანს წინ იყო („სტროიტელს" ტრავმის გამო ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე, პოლივოდა აკლდა), მაგრამ არმიელთათვის საბედისწერო აღმოჩნდა მე-16 წუთი, როცა ისინი 6 ქულით იყვნენ დაწინაურებული. კიეველებმა როგორღაც შემოიხსნეს „პორჟილები" და ლაღად, თამამად და, რაც მთავარია, ნაყოფიერად დაიწყეს თამაში. პირველი ტაიმის ეფექტურად მოგების შემდეგ „სტროიტელმა" ეს ძნელი მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა — 81:79 (44:38). ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ მოსკოველი პეტრაკოვი (27 ქულა) და კიეველი კოვალენკო (33). მეორე ფინალური მატჩი 12 აგვისტოს გაიმართება.

● ლანდსჰუტი (გფრ), 10 აგვისტო. დასავლეთ გერმანიაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა — მოსკოვის „სპარტაკის" ჰოკეისტებმა აქ ანგარიშით 15:3 დაამარცხეს ადგილობრივი გუნდი.

● მიუნხენი, 10 აგვისტო. XX ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში გამართულ წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში საბჭოთა მძლეოსნებმა წარმატებით იასპარეზეს. 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონმა, კიეველმა ვ. ბორზოვმა — 10,2 (ფინიშთან მეორე იყო მოსკოველი ა. კორნელიუკი — 10,3). მსოფლიო რეკორდსმენმა, რიგელმა ი. ლუსისმა ყველაზე შორს ტყორცნა შუბი — 82,84 მ. სსრ კავშირის ჩემპიონმა ატჭიდში, ხარკოველმა ნ. ავილოვმა სიგრძეზე ხტომა — 738 სმ. სხვა გამარჯვებულთაგან (ტურნირში 10 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ) უნდა აღვნიშნოთ: ი. ნიგრინოვა (ჩეხოსლოვაკია) — სიგრძეზე ხტომა — 633 სმ (პირადი რეკორდი); ქ. კეპლინგერი (ავსტრია) — 100 მეტრზე რბენა — 11,6; გ. მიურეი (იამაიკა) — 110 მეტრზე თარჯრბენი — 13,8.

● ვარშავა, 10 აგვისტო. პოლონეთისა და საფრანგეთის მძლეოსანთა მატჩის პირველ დღეს (დაწინაურდნენ მასპინძლები: ქალთა შორის — 31:20, ვაჟებში — 107:98) რამდენიმე კარგი შედეგი იქნა ნაჩვენები. მასპინძლებმა სამი ეროვნული რეკორდი დაამყარეს: დანუტა პეციკმა 400 მ 52,3 წამში გაირბინა, ელჟბეტა სკოვრონსკამ — 800 მ — 2.01,8, ხოლო ვაჟთა გუნდმა 4×100 მეტრზე ესტაფეტა — 38,8 წამში.

# უსიურპრიზებოდ

ბუდაპეშტი, 10 აგვისტო. ევროპის ჩოგბურთელთა დღეს აქ დაწყებულ ჩემპიონატში სსრ კავშირის რვა მონაწილიდან ბრძოლაში პირველნი ალმაათელი მ. კრეშინა და ბაქოელი ე. ბირიუკოვა ჩაებნენ. ამ წყვილმა პირველი წრის მატჩში ანგარიშით 8:6, 6:2 დაამარცხა დასავლეთგერმანული დუეტი ესტერლიაიჰნერი — გინკენსი.

პირველ დღეს როგორც ერთეულთა თანრიგების, ისე წყვილთა შეხვედრებს სიურპრიზები არ მოუტანია.

ბუდაპეშტის კორტებზე სპორტულ ბედს სულ 18 ქვეყნის დაახლოებით 80 ჩოგბურთელი ცდის, თანაც აქ მარტო ევროპელი სპორტსმენები როდი არიან: ჩემპიონატი ხომ ღია შეჯიბრების ფორმულით ტარდება.

ტურნირი 14 აგვისტოს დამთავრდება.

# კიდევ ერთი „სპორტული შეხვედრა"

ვაშინგტონი, 9 აგვისტო. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" იუწყება, ტაილანდის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს პეკინში მიავლინონ მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდი აზიის ქვეყნების ტურნირში მონაწილეობისთვის. დელეგაციას მეთაურობს გენერალ-ლეიტენანტი ლოხაჩალა. გუნდის კიდევ ერთი „არამოთამაშე" წევრი იქნება ფინანსთა, ეკონომიკისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

„ვაშინგტონ პოსტი" ამასთან დაკავშირებით წერს: „ტაილანდი, რომელიც ამჟამად ამერიკის სამხედრო ძალის მთავარი ბაზაა ინდოჩინეთის ომში, ჩინეთთან თავის საქმეებში „პინგ-პონგის დიპლომატიას იწყებს". (საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# მეთორმეტე პარტია

სპასკი



ფიშერი

აი, ამ პოზიციაში გადაიდო სპასკი — ფიშერის მატჩის მეთორმეტე პარტია. სპეციალისტების აზრით, მდგომარეობა თანაბარი იყო.

თამაშის განახლებისას ფიშერმა მეტოქეს მეფის ფრთის პაიკები გაუცვალა და ამ პოზიციური უპირატესობის განვითარებას ფიქრობდა. მაგრამ სპასკი მძიმე ფიგურებით შეიჭრა ამერიკელი მოჭადრაკის პოზიციაში და მუქარა გაანეიტრალა.

52-ე სვლაზე მარტივი, მაგრამ ეფექტური გაცვლითი კომბინაციით სპასკიმ პაიკიც კი მოიგო, მაგრამ სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილი, ხაფანგი იყო. ამიტომ მეტოქენი დაზავდნენ კიდეც.

აი, როგორ მოხდა ეს: 41. ლc6 (ჩაწერილი სვლა) 41. ... ლc2 42. კe5 ეd2 43. ლa8+ მფh7 44. კ:f6 gf 45. ლf3 f5 46. g4 ლe4 47. მფg2 მფg6 48. ეc1 კa3 49. ეa1 კb4 50. ეc1 კe7 51. gf ef 52. ეe1 ე:f2+ 53. მფ:f2 კh4+ 54. მფe2 ლ:f3 55. მფ:f3 კ:e1. ყაიმი.

# მეცამეტე პარტია

სპასკი — ფიშერი

ალიოხინის დაცვა

1. e4 მf6 2. e5 მd5 3. d4 d6 4. მf3 g6 5. კc4 მb6 6. კb3 კg7 7. მbd2 0—0 8. h3 a5 9. a4 de 10. de მa6 11. 0—0 მc5 12. ლe2 ლe8 13. მe4 მb:a4 14. კ:a4 მ:a4 15. ეe1 მb6 16. კd2 a4 17. კg5 h6 18. კh4 კf5 19. g4 კe6 20. მd4 კc4 21. ლd2 ლd7 22. ეad1 ეfe8 23. f4 კd5 24. მc5 ლc8 25. ლc3 e6 26. მფh2 მd7 27. მd3 c5 28. მb5 ლc6 29. მd6 ლ:d6 30. ed კ:c3 31. bc f6 32. g5 hg 33. fg f5 34. კg3 მფf7 35. მe5+ მ:e5 36. კ:e5 b5 37. ეf1 ეh8 38. კf6 a3 39. ეf4 a2 40. c4 კ:c4 41. d7 კd5. პარტია გადაიდო.

• • •

ამ მატჩში პირველად გათამაშდა ალიოხინის დაცვა. იგი ფიშერმა აირჩია. თამაში თავიდანვე გაუტკეპნელი გზით წარიმართა. მე-7 სვლაზე სპასკიმ ორიგინალურად ითამაშა. როცა ამერიკელმა მოჭადრაკემ თავის მეფეს სამშედო ბინა მიუჩინა, თამაშის სიმძიმე ლაზიერის ფრთაზე გადმოვიდა. სპასკიმ მე-9 სვლით თავისი პაიკი ხიფათში ჩააგდო. ფიშერმა ამ პაიკს ჯერ ალყა შემოარტყა, მერე აიყვანა იგი. მსოფლიო ჩემპიონმა საზღაური ვერ მიიღო.

შემდეგომ სპასკიმ პაიკებით შეუტია შავი მეფის პოზიციას. სპეციალისტების აზრით, მსოფლიო ჩემპიონის 25-ე და 26-ე სვლები ნაკლებად ენერგიული იყო და ლაზიერის ფრთაზე პაიკების ამოძრავებით ფიშერი ინიციატივას დაეუფლა.

სპასკის მხედარი შავების განლაგებაში შეიჭრა, მაგრამ ფიშერმა ლაზიერის ცრუბრითი შეწირვით თამაში თავისთვის უკეთეს ენდშპილში გადაიყვანა.

ორივე მეტოქემ გამსვლელი პაიკი მიიღო. ფიშერმა ეტლში კუს შეწირვით სცადა თავისი ლაზიერის ფრთის პაიკებისთვის გზა გაეხსნა. მაგრამ სპასკიმ უარი თქვა ხარისხის მოგებაზე, პირიქით, პაიკი შესწირა, რომ თავისი გამსვლელი პაიკი უფრო სახიფათო გაეხადა.

ამასობაში თამაშის დროც ამოიწურა. პარტია გადაიდო ამ მდგომარეობაში:

ფიშერი



სპასკი

აქ 42-ე სვლა სპასკიმ ჩაიწერა. პოზიცია ძალიან მწვავეა.

ამრიგად, ჯერჯერობით ანგარიშია 7:5 ფიშერის სასარგებლოდ. გადადებული მეცამეტე პარტია გუშინ საღამოს უნდა დამთავრებულიყო, მეთოთხმეტე პარტია, რომელშიც თეთრებით ფიშერი ითამაშებს, კვირას, 13 აგვისტოს უნდა გათამაშდეს.

# დაიღუპა... „საჭყუმპალაოში"

არიზონის შტატის ქალაქ ტექსონის მოტელის აუზში უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკელი მძიმეწონოსანი მოკრივე ძორა ფოლეი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება არ დასცალდა.

იმ დღეს აუზზე იყვნენ ფოლეი, მისი ერთი მეგობარი და ორი ქალი. როგორც ვარაუდობენ, ფოლეის ფეხი დაუცდა, ბავშვების „საჭყუმპალაოში" გადავარდა და თავი გაუტყდა.

1953 წლიდან მოკიდებული ფოლეიმ პროფესიულ რინგზე 79 ორთაბრძოლა მოიგო, აქედან 43 — ნოკაუტით, 11 შეხვედრა წააგო და 6 ფრედ დაამთავრა. იგი შვიდჯერ იყო ნოკაუტში.

ფოლეის ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა 1967 წლის მარტში ჰქონდა კასიუს კლეისთან მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის. კლეიმ ნოკაუტით მოიგო მე-7 რაუნდში. ფოლეიმ რინგი 1970 წელს დატოვა, როცა პირველ რაუნდში ნოკაუტით წააგო მაკ ფოსტერთან.

მას შემდეგ ფოლეი კომერსანტი გახდა, ავტომანქანებით ვაჭრობდა. იგი ახლახან გაეყარა ცოლს და მიატოვა ცხრა შვილი, რომელთაგან უმცროსი 4 წლისაა.

(საკ. ინფ.).

# გდრ-ის ოლიმპიელები

ბერლინი, 10 აგვისტო. ბერლინის რატუშაში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს შემადგენლობა გდრ-ის ნაკრები გუნდისა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს XX საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებში. გუნდში 324 სპორტსმენია. ყველაზე ფართოდაა წარმოდგენილი მძლეოსნობა (62 კაცი), ცურვა (45), ნიჩბოსნობა (ბაიდარებითა და კანოეებით) (24), აკადემიური ნიჩბოსნობა (32).

გდრ-ის ოლიმპიელები მიუნხენში სპორტის 17 სახეობაში გამოვლენ. ოლიმპიადის სარბიელზე ვიხილავთ გდრ-ის საქვეყნოდ ცნობილ სპორტსმენებს — მძლეოსნებს იურგენ ჰააზეს, კრისტოფ ჰიონეს, ჰარმუტ ბრიზენიკს, რიტა შმიდტს, მარგიტა გუმელს, ვოლფგანგ ნორდვიგს, კარინ ბალცერს, მაქს კლაუსს, მოცურავეებს როლანდ მათესს, კლაუს კაცურს, გაბრიელე ვეცკოს, ტანმოვარჯიშეებს კარინ იანცს, ერიკა ცუჰოლდს, კლაუს კოსტესა და სხვ.

# „ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჯავახიშვილის ქ. № 74)

ეძღვნება ფიზკულტურელის საკავშირო დღეს

12-13 აგვისტოს

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარება საწარმოდაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ფიზკულტურის კოლექტივებისთვის.

მსურველებს შეუძლიათ ჩააბარონ ნორმატივები. სტადიონზე მიმღები კომისია 10 საათიდან მუშაობს.

სტადიონის დირექცია.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04572